სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ლექსიკოგრაფიული ცენტრის დებულება

მუხლი 1. ლექსიკოგრაფიული ცენტრის სტატუსი

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექსიკოგრაფიული ცენტრი (შემდგომში „ცენტრი“) არის დამხმარე სამეცნიერო ერთეული, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, უნივერსიტეტის წესდებით, წინამდებარე დებულებითა და სხვა ნორმატიული აქტებით.

მუხლი 2. ცენტრის მიზანი

1. ცენტრის მიზანია:
ა) სხვადასხვა ლექსიკოგრაფიული პროექტების განხორციელებით იმ ხარვეზის გამოსწორება, რაც დღესდღეობით არსებობს ქართულ თარგმნით ლექსიკოგრაფიაში;
ბ) ლექსიკოგრაფის პროფესიისა და თარგმნითი ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის პოპულარიზაცია;
გ) უნივერსიტეტის ჩამოყალიბება ორენოვანი ლექსიკოგრაფიის მძლავრ კერად საქართველოში.
2. აღნიშნული მიზნების მისაღწევად ცენტრი დიდი ინგლისურ-ქართული ონლაინ-ლექსიკონის ბაზაზე გამოსაცემად მოამზადებს ზოგად და სპეციალიზებულ/დარგობრივ ინგლისურ-ქართულ ლექსიკონებს. უხელმძღვანელებს სხვაენოვან ევროპულ-ქართულ ლექსიკოგრაფიულ პროექტებს.

მუხლი 3. ცენტრის მართვა და სტრუქტურა

1. ცენტრს მართავს ცენტრის ხელმძღვანელი (შემდგომში - უფროსი).
2. ცენტრის თანამშრომელთა თანამდებობებს მიეკუთვნება: უფროსი რედაქტორი, რედაქტორი.

მუხლი 4. ცენტრის უფროსი

ცენტრის უფროსი:
1. განსაზღვრავს ცენტრის მუშაობის კონცეპტუალურ საკითხებს, ძირითად მიმართულებებს;
2. შეიმუშავებს ცენტრის სამუშაო გეგმას და უზრუნველყოფს მის შესრულებას;
3. განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტებს და იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტულ ლექსიკოგრაფიულ პროექტზე მუშაობის დაწყებასთან დაკავშირებით;
4. რეგულარულად ისმენს უფროსი რედაქტორებისა და რედაქტორების ანგარიშებს

ლექსიკოგრაფიულ პროექტებზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ;
5. წელიწადში ერთხელ ამზადებს ცენტრის სამეცნიერო მუშაობის ანგარიშს, რომელსაც წარუდგენს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
6. ცენტრის უფროსს თანამდებობაზე ნიშნავს რექტორი.

მუხლი 5. ცენტრის უფროსი რედაქტორი

1. ცენტრის უფროსთან ერთად წარმართავს ცენტრის მუშაობას.
2. ხელმძღვანელობს ცენტრში სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებისათვის სამეცნიერო პროექტების მომზადებას; ლექსიკონების სარედაქციო კოლეგიის წევრების შერჩევას.
3. უშუალოდ მონაწილეობს ცენტრის ლექსიკოგრაფიული პროექტების განხორციელებაში.

მუხლი 6. ცენტრის რედაქტორი

1. უშუალოდ მონაწილეობს ცენტრის ლექსიკოგრაფიული პროექტების განხორციელებაში.
2. ამზადებს სიტყვა-სტატიებს ცენტრის მიერ განხორციელებული ლექსიკოგრაფიული პროექტებისათვის.

მუხლი 7. ლექსიკოგრაფიული პროექტების დაფინანსება

ლექსიკოგრაფიული პროექტების დაფინანსება შეიძლება მოძიებულ იქნას სხვადასხვა წყაროებიდან (გრანტები, სახელმწიფო, კერძო და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები).

მუხლი 8. ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 9. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.